სსიპ სივრცითი და ქალაქთმშენებლობითი განვითარების სააგენტო

დავით აღმაშენებლის გამზ. N154
0112 თბილისი, საქართველო
www.suda.gov.ge
info@suda.gov.ge

02 / ივლისი / 2024 წ.

KARR0168885419824

№ **04/963**

სსიპ სახელმწიფო ქონების
ეროვნული სააგენტოს
სახელმწიფო ქონების
პრივატიზების დეპარტამენტის
უფროსის მოვალეობის
შემსრულებელს ბატონ ირაკლი
ჩიდრაშვილს

ბატონო ირაკლი,

სსიპ-სივრცითი და ქალაქთმშენებლობითი განვითარების სააგენტომ (შემდგომში - "სააგენტო") განიხილა თქვენი 2024 წლის 10 ივნისის №6/32308 (რეგისტრირებული დოკუმენტის ნომერი874/21 თარიღი: 10.06.2024) წერილი, რომელიც ეხება ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, კურორტ ბახმაროში, 28.25.03.102 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის ელექტრონული აუქციონის ფორმით პრივატიზების საკითხს.

გაცნობებთ რომ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 2 დეკემბრის N589 დადგენილებით დამტკიცებული ბახმაროს სარეკრეაციო ტერიტორიის ქალაქთმშენებლობითი გეგმებით, დაინტერესებაში არსებული დაურეგისტრირებელი მიწის ნაკვეთი მდებარეობს საკურორტო ზონა 1 (შზ6)-ში, სადაც შესაძლებელია შემდეგი ფუნქციის მქონე შენობა-ნაგებობების განთავსება: ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლი, სამთო-სათხილამურო მომსახურების ობიექტები, სასტუმრო, საოჯახო სასტუმრო, დასასვენებელი სახლები, კვების ობიექტები, გართობისათვის განკუთვნილი მომსახურებების ობიექტები, მცირე კომერციული სავაჭრო მომსახურებების ობიექტები, ავტოსადგომი, დასაშვები სახეობებისათვის დამხმარე და დროებითი შენობანაგებობები. ქალაქმშენებლობითი პარამეტრებია: 150-დან 220-კვ.მ მდე მიწის ნაკვეთებისთვის: განაშენიანების კოეფიციენტი კ1-0.4, გამწვანების კოეფიციენტი კ3-0.2, მაქსიმალური სართულიანობა: 3 სართული, მაქსიმალური სიმაღლე: კედლის ბოლომდე - 10 მეტრი, კეხამდე - 12 მეტრი.

დაინტერესებაში არსებული მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ განვითარება შესაძლებელია, 28.24.22.812 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთთან გაერთიანების შემდგომ, ზონით დადგენილი პარამეტრების დაცვით.

პატივისცემით,

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

სსიპ–სივრცითი და ქალაქთმშენებლობითი
განვითარების სააგენტოს უფროსი

იოანე მენაბდე